საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000094700184424

№ 02-81-R **18 / დეკემბერი / 2024 წ.**

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე–20 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე და მე-100 მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის, მე–14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის ,,ა", „ნ" და ,,ო" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრის მერი ჟვანიასათვის, პირადი განცხადების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 მაისის # 17/2024 და „სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრებისთვის - მარინა ქავთარაძისა და გვანცა ღვინჯილიასთვის, პირადი განცხადებების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის #20/2024 დადგენილებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს ვადამდე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად ახალი წევრების არჩევის მიზნით დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2024 წლის 27 დეკემბერს:

ა) საშემსრულებლო ფაკულტეტი - 1 (ერთი) წევრი;

ბ) კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი - 2 (ორი) წევრი;

2. აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რუსუდან თაბაგარი – კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

ბ) მარიამ ელიზბარაშვილი – კონსერვატორიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სპეციალისტი, კომისიის წევრი;

გ) დალი დავლიანიძე -კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

3.დაევალოს საარჩევნო კომისიას სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 27 დეკემბრის არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასთან, კონსერვატორიის წესდებასთან და კონსერვატორიის „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს არჩევის წესთან“ შესაბამისობაში ჩატარება.

4. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2024 წლის 19 დეკემბრიდან 2024 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით 10.00-დან 18.00 საათამდე, კვირის გარდა; (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. No8-10, ოთახი No216); სარეგისტრაციო განაცხადისა და დოკუმენტაციის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: konkursi@tsc.edu.ge;

5. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებს ევალებათ სარეგისტრაციო განცხა დებაში დაადასტურონ, რომ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ უკავიათ აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა. აკადემიურ საბჭოში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ კონსერვატორიის ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირები და აგრეთვე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

6. აკადემიური საბჭოს წევრები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩევიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ; აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

7. წარმოდგენილ ვაკანტურ ადგილებზე აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი უფლებამოსილების ვადით (2026 წლის 30 სექტემბრამდე);

8. წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობის მიზნით თვალსაჩინო ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

9. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge;

10. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

11. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - გიორგი ზაქარაიას.

13. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კილომეტრი, №64).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გიორგი ვაჩნაძე